ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის მიერ 2025 წელს ჩატარებული ინდექს ტესტირების შედეგების მეორადი რაოდენობრივი ანალიზი

მიხეილ ირემაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ადიქციის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ადიქციის კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირმა კირთაძე, ასოცირებული პროფესორი.

თანახელმძღვანელი: ირაკლი ნაცვლიშვილი, დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მიხეილ ირემაშვილი

13.06.2026

აბსტრაქტი

შესავალი: საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის მიმდინარეობისას, ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლები ხშირად რჩებიან სტანდარტული სკრინინგ სერვისების მიღმა. კვლევის მიზანია ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის მიერ ინდექს-ტესტირების მოდელით გამოვლენილი შედეგიანობისა და ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებული ფაქტორების შეფასება.

მეთოდოლოგია: კვლევა წარმოადგენს ჯვარედინ-სექციური მონაცემების მეორად რაოდენობრივ ანალიზს. შეისწავლილი და გაანალიზებულია ნარკოტიკების 251 ინექციური მომხმარებლის მონაცემი, რომლებიც 2025 წელს ჩაერთნენ ინდექს-ტესტირების პროგრამაში. ქცევითი და სერვისებთან დაკავშირებული ფაქტორების შესაფასებლად გამოყენებულ იქნა მოდიფიცირებული პუასონის რეგრესია (ლოგარითმული ბმით) და გამოთვლილია პრევალენტობის თანაფარდობები (PR).

შედეგები: ინდექს-ტესტირების შედეგად, C ჰეპატიტის სწრაფი სკრინინგით დადებითი შემთხვევების წილმა 24.7% შეადგინა. მულტივარიაციულმა ანალიზმა აჩვენა სარწმუნო კავშირი HCV სეროპოზიტიურობასა და ასაკს (PR=1.03, p=0.017), ასევე ზიანის შემცირების სერვისების გამოყენებას შორის (aPR = 1.87, 95% CI: 1.17–2.99, p = 0.009). საინექციო აღჭურვილობის გაზიარებასთან სტატისტიკური კავშირი არ დადასტურდა, სავარაუდოდ ქსელური ერთგვაროვნების გამო. გამოიკვეთა მკურნალობის კასკადის ხარვეზი: სწრაფი ტესტით დადებითი პირების 29%-მა არ ჩაიტარა კონფირმაციული კვლევა, ასევე, რეგიონებში სკრინინგიდან კონფირმაციაზე გადასვლის მაჩვენებელი (59.4%) შესამჩნევად ჩამოუვარდებოდა თბილისის მაჩვენებელს (83.3%), რაც რეგიონული სერვისების მისაწვდომობის ბარიერებზე მიუთითებს.

დასკვნა: ინდექს-ტესტირება წარმოადგენს მაღალეფექტურ სტრატეგიას ფარული და მაღალი რისკის მქონე პოპულაციების გამოსავლენად. თუმცა, C ჰეპატიტის ელიმინაციისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია სტრუქტურული ბარიერების

აღმოფხვრა, რათა შემცირდეს დანაკარგები დიაგნოსტირებიდან მკურნალობაში გადასვლის ეტაპზე და უზრუნველყოფილ იქნას მკურნალობის კასკადის უწყვეტობა.

საძიებო სიტყვები: C ჰეპატიტი, ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლები, ინდექს-ტესტირება, მკურნალობის კასკადი, ზიანის შემცირება.

Abstract

Introduction: In Georgia, during the implementation of the Hepatitis C elimination program, people who inject drugs frequently remain beyond the reach of standard screening services. The main aim of this study is to evaluate the effectiveness of the index-testing model, implemented by the Georgian Harm Reduction Network, and to assess factors associated with the transmission of the virus.

Methodology: The study is a secondary quantitative analysis of cross-sectional data. Data from 251 people who inject drugs participating in the index-testing program in 2025 were examined and analyzed. To assess behavioral and service-related factors, a modified Poisson regression (with a log link) was used, and prevalence ratios (PR) were calculated.

Results: As a result of index-testing, the positivity rate for Hepatitis C rapid screening was 24.7%. Multivariate analysis showed a statistically significant association between Hepatitis C seropositivity and age (prevalence ratio = 1.03, p-value = 0.017), as well as the use of harm reduction services (adjusted PR = 1.87, 95% CI: 1.17–2.99, p = 0.009). A statistical association with the sharing of injection equipment was not observed, potentially due to network homogeneity. A gap in the care cascade was identified: 29% of individuals with a positive rapid screening test did not undergo confirmatory testing. Furthermore, the rate of transition from screening to confirmatory testing in the regions (59.4%) was noticeably lower than the rate in Tbilisi (83.3%), highlighting barriers to service accessibility in regional areas.

Conclusion: Index-testing represents a highly effective strategy for identifying hidden and high-risk populations. However, for the elimination of Hepatitis C, it is critically important to remove structural barriers to reduce dropouts during the transition from diagnosis to treatment and to ensure the continuity of the care cascade.

Keywords: Hepatitis C, people who inject drugs, index-testing, care cascade, harm reduction.

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელ ირმა კირთაძეს და თანახელმძღვანელ ირაკლი ნაცვლიშვლის. რომ არა მათი მხარდაჭერა, პროფესიული რჩევები და დეტალებზე ორიენტირებული უკუკავშირი, ეს ნაშრომი ამ სახეს ვერ მიიღებდა. ასევე მადლობას ვუხდი "ზიანის შემცირების საქართველოს ქსელს" და მის დირექტორს, ქალბატონ მაკა გოგიას, მონაცემთა გაზიარებისთვის.

მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო ყველა პროფესორს, მოწვეულ ლექტორს და იმ ადამიანებს, ვინც ფაკულტეტის შექმნასა და მის მაღალ სტანდარტებზე ფუნქციონირებაში შეიტანა წვლილი. მათი შრომა დაუფასებელია და სწორედ მათი დამსახურებაა ის ცოდნა, კრიტიკული აზროვნება და პროფესიული ხედვა, რომელიც ამ წლების განმავლობაში შევიძინე.